ა(ა)იპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 223366587;

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ააიპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ს/კ 223366587 ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმების (გეგმიური მონიტორინგი) მიზნით, განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 26 ნოემბრის #1065 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე)
ბ) ქეთევან გელაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
ექსპერტთა ჯგუფს ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის კოორდინატორი ნინო სტეფანიშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან. სსიპ წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 29,30 ნოემბერს შემდეგ მისამართზე: ქ. ახალქალაქი, მიასნიკიანის ქ. 26

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული დოკუმენტაცია. მათ შორის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები. მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, შემთხვევითი შერჩევით შემოწმდა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა. შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დათვალიერებულ იქნა სამედიცინო კაბინეტი. შემოწმდა რეესტრი და სხვა.

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და დაიწყეს მუშაობა დასკვნის პროექტზე. შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა კოლეჯის დირექტორთან. შეჯამდა ორი დღის მუშაობის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, მშვიდ და საქმიან გარემოში.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო	**მუხლი 7 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ასეთი მაგალითები არ დაფიქსირებულა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

VI. რეკომენდაციების შეჯამება:

1.1 გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები;

1.2.კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის, პარტნიორი ორგანიზაციების, სტუდენტთა მიღების, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების შესახებ და სხვ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

1.4.დაწესებულებამ გააფორმოს ხელშეკრულებები პროფესიულ სტუდენტებთან და ეს სავალდებულოდ ასახოს რეგულაციაში;

- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით ადასტურებდნენ შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესების გაცნობას;

1.5.გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები;

2.3.წიგნები დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის სრული დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

VII. დაწესებულების მისია

1. დაწესებულების მისიაა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება კინოტელეოპერატორის, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტისა და თექის ხელოსნის პროფესიულ სპეციალიზაციებში, აგრეთვე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სპეციალიზაციების შეცვლის/სპეციალიზაციების დამატების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 17 ოქტომბრის # 45 გადაწყვეტილების საფუძველზე (რომელშიც ცვლილება შევიდა 2018 წლის 4 ივნისს #114 გადაწყვეტილებაში) უფლება ჰქონდა განეხორციელებინა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „თექის ხელოსანი“ (მესამე საფეხური), „კინოტელე ოპერატორი“ (მეოთხე საფეხური), „დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი“(მესამე საფეხური).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროგრამებიდან დაწესებულებამ ავტორიზაციის პერიოდში სწავლება განახორციელა მხოლოდ „თექის ხელოსანი“(მესამე საფეხური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. როგორც გასაუბრებისას დადგინდა „კინოტელეოპერატორის“ და „დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის“ პროგრამებზე სწავლის მსურველები რეგიონში არ არიან და დაწესებულება არ აპირებს გამოაცხადოს მიღება 2018 წლის ბოლომდე ამ აღნიშნულ პროგრამებზე. ამ მოტივით დაწესებულებამ ეს ორი პროგრამა ვიზიტის დროს ბრძანებით გააუქმა (ბრძ. # 1 2018 წლის 29 ნოემბერი)

ამჟამად დაწესებულება ახორციელებს „თექის ხელოსნის“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (საგნობრივი). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება #4 (2014 წლის 18 აგვისტო). დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თექის ხელოსანი“ დაწესებულებას ავტორიზაციის მიღების შემდეგ ჰყავს მხოლოდ ერთი ჯგუფი(8 სტუდენტი). ვიზიტის მიმდინარეობისას ვერ შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რადგან ძირითადი სასწავლო პროცესი დასრულებული იყო და პროფესიულ სტუდენტებს გასავლელი აქვთ მხოლოდ საწარმოო პრაქტიკა. წარმოდგენილი იქნა უკვე დასრულებული სასწავლო კურსების შეფასების უწყისები და პროგრამის თანმდევი დოკუმენტაცია.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი შპს“მატყლის გადამამუშავებელ საწარმო „თუშეთთან“.

იმის გამო, რომ პარტნიორი ორგანიზაცია არ მდებარეობს ახალქალაქში ვიზიტის დროს პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება არ მომხდარა.

საგანმანათლებლო პროცესის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის დარეგულირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, რის თაობაზეც გავესაუბრეთ დაწესებულების დირექტორს. მან განგვიცხადა, რომ მათ არ ჰქონიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შემთხვევა.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

- „თექის ხელოსნის“ პროგრამა დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება #4 (2014 წლის 18 აგვისტო)
- ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი შპს“მატყლის გადამამუშავებელ საწარმო „თუშეთთან“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კინოტელეოპერატორის“ და „დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის“ გაუქმების ბრძანება # 1 2018 წლის 29 ნოემბერი)

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.კატალოგი გამოქვეყნებულია ვებგვერდზე (http://akcol.org.ge/index.php?l=1&menu=4&obj=30#.XAEOQcB1PIU). დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში განაახლა კატალოგი, ვინაიდან დირექტორის ბრძანებით გააუქმა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კინოტელეოპერატორის“ და „დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის“ , შესაბამისად კატალოგიდანაც მოიხსნა ინფორმაცია ამ ორი პროგრამის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

დასტურდება:

- დაწესებულების კატალოგით;
- http://akcol.org.ge/index.php?l=1&menu=4&obj=30#.XAEOQcB1PIU

რეკომენდაციები:

- კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის, პარტნიორი ორგანიზაციების, სტუდენტთა მიღების, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების შესახებ და სხვ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თექის ხელოსანი“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

დასტურდება:

- „თექის ხელოსნის“ პროგრამა დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება #4 (2014 წლის 18 აგვისტო)
- პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რეგულირდება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებით „დამტკიცებულია“ დირექტორის 2014 წლის 18 აგვისტოს№ 4 ბრძანებით.
დაწესებულებას ავტორიზაციის მიღების შემდეგ მხოლოდ ერთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე („თექის ხელოსანი“) ჰქონდა მიღება.ამჟამად დაწესებულებას ერიცხება რვა პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:
დაწესებულებამ თავისი გაწერილი რეგულაციის შესაბამისად მიანიჭა სტატუსისი პროფესიულ სტუდენტებს, მაგრამ მათთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, თუმცა ხელშეკრულების გაფორმება დაწესებულების რეგულაციის თანახმად არ არის სავალდებულო. პროფესიული სტუდენტების პირად საქმეში არ დევს ხელმოწერილი დოკუმენტი, რითაც დასტურდება მათი გაცნობა შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების შემთხვევა.
ვიზიტის დროს მოხდა რეესტრის შემოწმებაც, სადაც ყველა პროფესიული სტუდენტი ასახული იყო.

დასტურდება:

- საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებით „დამტკიცებულია“ დირექტორის 2014 წლის 18 აგვისტოს№ 4 ბრძანებით;
- რეესტრის ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- დაწესებულებამ გააფორმოს ხელშეკრულებები პროფესიულ სტუდენტებთან და ეს სავალდებულოდ ასახოს რეგულაციაში;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით ადასტურებდნენ შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესების გაცნობას.

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობას არეგულირებს „საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულება“ დამტკიცებული დირექტორის 2014 წლის 18 აგვისტოს № 4 ბრძანებით. ეს დებულება განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირების წესს, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა პირობებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია დებულებაში, რითაც საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომ განათლებას.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს აძლევს მიმდინარე კომპონენტის/კომპონენტების დასრულების შესაძლებლობას. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის დროულ ინფორმირებას და პროფესიული სტუდენტის არჩევანის შესაბამისად ხელს უწყობს მას დაწესებულების სხვა მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა დაწესებულებაში გადასვლაში.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება იღებს ვალდებულებას:

ა) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და მოახდინოს გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად დაგროვებული კრედიტების აღიარება.

ბ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტს სხვა დაწესებულებაში გადასვლაში.

თუ დაწესებულებაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულება იღებს ვალდებულებას პროგრამის გაუქმებამდე გააფორმოს მემორანდუმი სხვა დაწესებულებასთან მობილობის ხელშეწყობის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეთვლება როგორც შეცვლამდე, ისე შეცვლის შემდეგ გავლილი კომპონენტი.

დასტურდება:

- „საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულება“ დამტკიცებული დირექტორის 2014 წლის 18 აგვისტოს № 4 ბრძანებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებაში“ გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის, არამედ საგანმანათლებლო საქმიანობის სხვა პირობების, აგრეთვე დაწესებულების პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას.
დებულების თანახმად ხარისხის სამსახური მონაწილეობს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულების შემუშავება/ადაპტირებაში, პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურთან ერთად, ასევე, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მიღებული შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე პროგრამის შეფასება მოხდება პრაქტიკის კომპონენტის დაწყებამდე, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვას.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარები.

დასტურდება:

- „საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულება“ დამტკიცებული დირექტორის 2014 წლის 18 აგვისტოს № 4 ბრძანებით.
- პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის თანამშრომელთა კითხვარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებას აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ მისამართზე: ახალქალაქი, მიასნიკიანის ქ. 26

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ახალქალაქი, მიასნიკიანის ქ. 26	1118.2

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზებით;
- ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აუდიტორიები, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო პროცესისათვის აღჭურვილია სასწავლო კურსებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია თექის მოსათელი მაგიდები, სხვა საჭირო ინვენტარი, სახარჯი მასალა.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოდუმენტაციით;
- საინვენტარო წიგნით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული პროგრამების განხორციელების ადგილები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები,სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით.

დასტურდება :

- ადგილზე დათვალიერებით;
- კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკაში წიგნები ნაწილობრივ დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ნომერი დატანილია წიგნის ყდაზე და მესამე გვერდზე. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია კატალოგში, მოქმედებს მკითხველის ბარათები, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
ბიბლიოთეკაში დგას ორი (ორკაციანი) მაგიდა სტუდენტებისათვის და ოთხი სკამი. კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი(კომბაინი)
ვიზიტის დროს შემთხევითი შერჩევის წესით შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თექის ხელოსანი“ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა დაწესებულების ბიბლიოთეკაში. წიგნის/წიგნების არქონის ფაქტი არ გამოვლენილა.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური კატალოგით;
- ხელშეკრულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ვებ გვერდით (http://akcol.org.ge/index.php?l=1&menu=36#.XAfs68B1PIV)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

რეკომენდაცია:

- წიგნები დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის სრული დაცვით.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის 3 კომპიუტერი ადმინისტრაციისთის, 7 -სტუდენტებისთვის, 1 პროექტორი 2 პრინტერი-კომბაინი (ქსეროქსით). ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით,
- ინვენტარიზაციის წიგნით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას გაწერილია აქვს საქმის წარმოების წესი, რომელიც დამტკიცებული დირექტორის 2014 ქ.წლის 8 მაისის #2 ბრძანებით და ამ წესის შესაბამისად დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა-ბრძანებების, ხელშეკრულებების,მემორანდუმების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა. ჟურნალები აკინძულია და დალუქულია ზონრით, დანომრილია.

დასტურდება:

- საქმის წარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია სათანადო ადგილას. ყველა შესასვლელში და სართულებზე ხელმისაწვდომია ცეცხლმაქრები(შემოწმებისას დადგინდა რომ ცეცხლმაქრების დამუხტულია)., დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველი დახმარების კაბინეტი, სადაც არის პირველი დახმარებისათვის საჭირო ნივთები და მედიკამენტები. მედდა აწარმოებს აღრიცხვის ჟურნალს.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია დირექტორის ბრძაენბით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებაში.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომითი ხელშეკრულებებით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებით(დამტკიცებულია დირექტორის მიერ ,ბრძანება #4 2014 წ 18 აგვისტო);
- დირექტორის 2014 წლის 9 ივლისის № 3 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. პანდუსი მოწყობილია ცენტრალურ შესასვლელში, კიბეებზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსი. ხოლო, ყველა აუდიტორიისა თუ დამხმარე ფართის შესასვლელ კართან დამონტაჟებულია ხის მცირე პანდუსი, ისე რომ ეტლმა შეფერხების გარეშე შესძლოს გადაადგილება და წვდომა შესაძლებელი იყოს ყველა სახის სივრცესთან. მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული სივრცე.

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პირველ დღეს კოლეჯის ვებ-გვერდი არ იხსნებოდა, თუმცა, მეორე დღეს ვებ-გვერდი ჩაირთო და შესაძლებელი გახდა მისი დათვალიერება. გვერდი სამენოვანია(ქართული, ინგლისური, და რუსული), ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების მისია, სტრუქტურა, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები,დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების და ადმინისტრაციის პერსონალის შესახებ, სიახლეები)

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „სპარ“თან, რომელიც ფლობს აღნიშნულ დომენსა და ჰოსტინგს და უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის ვებ-გვერდის მართვას და მასზე ინფორმაციის განთავსებას.

დასტურდება:

- ვებ გვერდით ვიზუალური დათვალიერებით;
- http://akcol.org.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:ა(ა)იპ

დაწესებულებას ქონდა ექვსწლიანი (2014-2020 წწ)სტრატეგიული განვითარების გეგმა რომელიც გამომდინარეობს მისიიდან. ვირთული იყო ვებდ-გევრდზე. ვიზიტის მეორე დღეს (30 ნოემბერს) კოლეჯმა წარმოადგინა 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმა, დამწკიცებული დირექტორის № 2 ბრძანებით (2018 წლის 29 ნოემბერს) , რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება:

- დირექტორის № 4 ბრძანებით (2014 წლის 18 აგვისტოს)დამტკიცებული ექვსწლიანი (2014-2020 წწ) სტრატეგიული განვითარების გეგმებით;
- დირექტორის № 2 ბრძანებით (2018 წლის 29 ნოემბერს) დამტკიცებული ერთწლიანი(2018-2019 წწ) სამოქმედო გეგმა

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი არა აქვს. დირექტორის 2014 წლის 9 ივლისის № 3 ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულება რომელიც არეგულირებს სხვადასხვა სამსახურის საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

დამფუძნებლის, დირექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით.

სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა და პოზიციები განისაზღვრება დაწესებულების საშტატო განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი. შესასრულებელი სამუშაოს სახე განისაზღვრება მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პირადი საქმეები, დაწესებულებას ბიბლიოთეკარს აქვს უმაღლესი განათლება(ქიმიკოსი) და გავლილი აქვს პარლამენტის ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის მომზადების კურსები), ხოლო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში დებულებისამებრ დასაქმებულია მედდა.

დასტურდება:

- შრომითი ხელშეკრულებებით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებით(დამტკიცებულია დირექტორის მიერ ,ბრძანება #4 2014 წ 18 აგვისტო);
- დირექტორის 2014 წლის 9 ივლისის № 3 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით;

რეკომენდაცია:

- გაიწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. დაწესებულების პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციებს. 8 პროფესიულ სტუდენტზე 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დასტურდება:

- შრომითი ხელშეკრულებებით პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა და შრომითი ურთიერთობები გაწერილია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ (ბრძანება #4 ით 2014 ლის 18 აგვისტოს 11 კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით)

პროფესიული განათლების მასწავლებლების აყვანა მოხდა 2014 წელს, იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის დღევანდელ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობებთან. დაწესებულებას გაფორმებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები, რომელთაგან ერთი იყო ვადაგასული და ვიზიტის მსვლელობისას მოხდა ახალი ხელშეკრულების გაფორმება. შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია კანონის მოთხოვნებთან.

დასტურდება:

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- შინაგანაწესით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ახალქალაქი, 2018}

დანართი 2. ააიპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება #2 (29 ნოემბერი 2018) ერთწლიანი (2018-2019 წწ)სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

დანართი 3. ააიპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანება #1 (29 ნოემბერი 2018) დეკორატიულ- გამოყენებითი ქსოვილების(მე-3 საფ.) და კინოტელეოპერატორის(მე-4 საფეხ.) პროფეიული საგანმ, პროგრამების გაუქმების შესახებ;

დანართი 4. პროფესიული განათლების მასწავლებელ [redacted] გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება #8(29 ნოემბერი 2018)

28 დეკემბერი 2018
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: